ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №006
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, **სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **ნათია ზაალიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ინკო“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა მაღლაკელიძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მონეტარული ზღვრის დაცვით, სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ საჭიროებისათვის №1 ცხრილში მოცემული ტონერ და დრამ კარტრიჯების აღდგენის მომსახურების შესყიდვა **(CPV-50323200 - კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება).**

#1 ცხრილი

#	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება დღგ-ის ჩათვლით (ლარი)	საერთო ღირებულება დღგ-ის ჩათვლით (ლარი)
1	**Xerox workcentre 3215–ის დრამ კარტრიჯის აღდგენა**	**1 ცალი**	15	15
2	Xerox workcentre 3215–ის ტონერ კარტრიჯის აღდგენა	2 ცალი	20	40
3	Samsung 115L ტონერ კარტრიჯის აღდგენა	7 ცალი	25	175
	ჯამი:			230 ლარი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **230 (ორასი ოცდაათი) ლარს დღგ-ის ჩათვლით.**

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და ასევე კანონით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული კარტრიჯების აღდგენა და შემსყიდველისთვის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2021 წლის 12 თებერვლისა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების გადახდა, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ აღდგენილ დრამ კარტრიჯს ექნება 10000 (ათი ათასი) ფურცლის ბეჭდვის რესურსი, ხოლო ტონერ კარტრიჯებს 3000 (სამი ათასი) ფურცლის ბეჭდვის რესურსი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული განყოფილების შესყიდვების სპეციალისტი ზვიადი ჭელიძე.

8. ანგარიშსწორების წესი

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის, მეორე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან, ხოლო ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება 10.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

10.3. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით ვალდებულების სრულად შეუსრულებლობისთვის, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულებისთვის, დარჩენილი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ელექტრონული შტამპის ან ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებიდან (მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ელექტრონული დამოწმებიდან) და მოქმედებს 2021 წლის 26 მარტის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით, რომლის ყოველი ელექტრონული ასლი არის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე.

16.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17. ინტერესთა კონფლიქტი

17.1 «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზის დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიკტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

18. მხარეთა დასახელება და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“ მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ ტელ: 261 21 11 სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 ს/კ 205 296 188 დირექტორი /ნ. ზაალიშვილი/	შპს „ინკო“, მის: ქ. თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. №12 სს „თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE83TB7163436020100004 ს/კ 205189142 დირექტორი /პ. მაღლაკელიძე/

Electoral Systems Development, Reforms and Training Centre

Digitally signed by Electoral Systems Development, Reforms and Training Centre
Date: 2021.02.05 12:54:21 +04'00'

Paata Maglakelidze

Digitally signed by Paata Maglakelidze
Date: 2021.02.05 13:41:33 +04'00'